სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

93561762537514

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140235681

რეგისტრაციის თარიღი

17.03.2014 წ

ნოტარიუსი: ოთარ ზოიძე
მისამართი: მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული, 0102 ქ. თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

ორი ათას თოთხმეტი წლის ჩვიდმეტ მარტს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართა ჩემთვის ცნობილმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა _ ბატონმა **ერმილე ჩხაიძემ** (დაბადებული 19.06.1963 წ. პირადი #01029000409, საქართველოს მოქალაქე; რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, მუხიანის მე-4ა მიკრორაიონი, კორპუსი #12, ბინა #1).

ერმილე ჩხაიძემ განაცხადა, რომ:

ა) არის შპს **„ბაუერის“** (რეგისტრაციის თარიღი: 06/12/2013 წ., საიდენტიფიკაციო №406108260, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის I მ/რ. კორპ. #3, ბინა #76) ფინანსური დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) როგორც შპს **„ბაუერის“** დირექტორს, სურს, შპს **„ბაუერის“** სპეციალური წარმომადგენლის (რწმუნებულის) უფლებამოსილება მიანიჭოს **დავით ლოსაბერიძეს** (დაბადებული 14.03.1967 წ. პირადი #01005006844, საქართველოს მოქალაქე; რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა #20, ბინა #36).

ერმილე ჩხაიძემ მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება ჩემს მიერ.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ბაუერის“ შესახებ (ამონაწერის მომზადების თარიღი: 06/12/2013 18:42:24);

ბ) შპს „ბაუერის“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი #1 (ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 06.12.2013 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №131276629)

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

„ერმილე ჩხაიძემ (დაბადებული 19.06.1963 წ. პირადი #01029000409, საქართველოს მოქალაქე; რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, მუხიანის მე-4ა მიკრორაიონი, კორპუსი #12, ბინა #1), როგორც შპს **„ბაუერის“** (რეგისტრაციის თარიღი: 06/12/2013 წ., საიდენტიფიკაციო №406108260, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის I მ/რ. კორპ. #3, ბინა #76) ფინანსურმა დირექტორმა, **დავით ლოსაბერიძეს** (დაბადებული 14.03.1967 წ. პირადი #01005006844, საქართველოს მოქალაქე; რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა #20, ბინა #36), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „რწმუნებული“, მიანიჭა შპს **„ბაუერის“** (რეგისტრაციის თარიღი: 06/12/2013 წ., საიდენტიფიკაციო №406108260, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის I მ/რ. კორპ. #3, ბინა #76) (რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მარწმუნებელი“) **სპეციალური რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:**

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსის შესახებ

1. რწმუნებული უფლებამოსილია, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერ სახელმწიფო, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოში, კერძო დას საჯარო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში, ქ. თბილისის ნებისმიერ საჯარო და კერძო დაწესებულებაში მარწმუნებლის სახელით აწარმოოს მშენებლობასა და პროექტირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმე, მოამზადოს შენობა-ნაგებობის პროექტი, შესათანხმებლად წარადგინოს იგი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურსა და სხვა ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში, მიიღოს მშენებლობის ნებართვა და სხვა ნებისმიერი უფლება/დოკუმენტი, ცვლილებები/დამატებები შეიტანოს შეთანხმებულ პროექტსა და მშენებლობის ნებართვაში, სხვა ნებისმიერ უფლებაში, მოწმობასა და აქტში (დოკუმენტში...).

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც აქ არ არის მითითებული პირდაპირ, მაგრამ რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 2. ინფორმირების ვალდებულების შესახებ

1. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მარწმუნებელს პერიოდულად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

მუხლი 3. უფლებამოსილების ვადის შესახებ

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორი ათას ცხრამეტი წლის პირველ იანვრამდე.

2. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

მუხლი 4. აქტის ძალმოსილების შესახებ

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.“

დანართები:

1) წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:

ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ბაუერის“ შესახებ (ამონაწერის მომზადების თარიღი: 06/12/2013 18:42:24);

2) ჩემს სანოტარო არქივში ინახება შემდეგი დოკუმენტი:

შპს „ბაუერის“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი #1 (ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 06.12.2013 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №131276629).

აქტის ეგზემპლარები

წინამდებარე აქტი შედგენილია 6 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31, 39 მუხლებისა):

ა) ნოტარიუსის საზღაური: 10,0 ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2,0 ლარი;

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებლის წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი შპს „ბაუერი“
(წარმომადგენელი _ დირექტორი **ერმილე ჩხაიძე**)

საქართველო. ნოტარიუსი ოთარ ზოიძე * GEORGIA. NOTARY OTAR ZOIDZE * 01011002172



ავიზმულია
ფურცლად